## შესყიდვის ხელშეკრულება № 3

ქ.თბილისი 28,02,2023 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N72 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, მანანა კიკაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. ტარიელ ჯიაძე (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ნაბეჭდი მასალის (გაკვეთილების ცხრილი) შესყიდვა - CPV: 22100000 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2 ხელშკრულების საგნის დეალური აღწერილობა მოცემულია დანართი N1-ში.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 40,00 (ორმოცი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს;

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოს მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა**

4.1. სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - (ქ. თბილისი, გორგასალის ქ. N2).

4.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს არა უგვიანეს 2023 წლის 6 მარტისა.

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულება.

**მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ქალაქ თბილისის N72 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, მანანა კიკაჩეიშვილი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

6.3. ხელის მომწერი პირები ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

**მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა**

7.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

7.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

7.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაგვიანებით მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულების 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

7.4. ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით.

7.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 0,2 პროცენტის ოდენობით.

**მუხლი 8. ფორსმაჟორი**

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი**

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 25 აპრილის ჩათვლით.

**მუხლი 12. სხვა პირობები**

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

**მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

**შემსყიდველი:**

სსიპ - ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლა
ს/კ 204 422 696
მის: ქ. თბილისი, გორგასალის ქ.N2
ტელ: 2 72 35 74; 2 75 35 60

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE31LB0121180433930000

**დირექტორის მ. შ. მანანა კიკაჩეიშვილი**

_____
(ხელმოწერა)

**მიმწოდებელი:**

ი.მ.ტარიელ ჯიაძე
ს/კ 01015002975
ტელ.: 568 98 93 84
მის.: თბილისი,
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE19TB7416545064300019
დირექტორი: ტარიელ ჯიაძე ----------
---
_____
(ხელმოწერა)

დანართი N1

| | დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | სულ ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნაბეჭდი მასალის (გაკვეთილების ცხრილი) | ცალი | 10 | 4 | 40,00 |
| | | | | **სულ** | **40,00** |

შემსყიდველი:

სსიპ - ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლის

დირექტორის მ. შ.:

მიმწოდებელი:

ი.მ ტარიელ ჯიაძე

# მიღება–ჩაბარების აქტი

**ქ.თბილისი** **28,02,2023 წ.**

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N72 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ. შ-ს მანანა კიკაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. ტარიელ ჯიაძე (შემდგომში - მიმწოდებელი), ვადგენთ მიღება–ჩაბარების აქტს მასზედ რომ მიმწოდებელმა მიაწოდა ხოლო შემსყიდველმა მიიღო მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების (N3 28,02,2023 წ.) თანახმად ნაბეჭდი მასალა(გაკვეთილების ცხრილი) საერთო ღირებულებით 60.00 (სამოცი) ლარი.

| | დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | სულ ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნაბეჭდი მასალის (გაკვეთილების ცხრილი) | ცალი | 10 | 4 | 40,00 |
| | | | | **სულ** | **40,00** |

**აქტის სისწორეს ორივე მხარე ვადასტურებთ ხელის მოწერით.:**

**შემსყიდველი:** **მიმწოდებელი:**